

## შვედეთის აუდიტორული ოფისის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში

2010 წლის 23 მარტს ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს კონტროლის პალატასა და შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისს შორის. მემორანდუმზე ხელი საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილმა და შვედეთის აუდიტორული ოფისის გენერალურმა აუდიტორმა ჟან ლანდალმა მოაწერეს.

მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიალი სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა.

თანამშრომლობის მემორანდუმში ითვალისწინებს:

1. საქართველოს კონტროლის პალატის დახმარებას განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული მანდატის შესაბამისი საქმიანობა და შეასრულოს ეფექტიანი როლი საქართველოს საჯარო მმართველობის სფეროში შემდეგი მიმართულებებით:

- ფინანსური აუდიტი;
- შიდა და გარე კომუნიკაციები;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგია;
- მენეჯმენტი;
- ეფექტიანობის აუდიტი.

2. თანამშრომლობას 2012 წლის 31 დეკემბრამდე;

3. შვედური მხარის მიერ 7 მლნ.-მდე კრონის გამოყოფას დახმარების ღონისძიებებისათვის. მემორანდუმის გაფორმებამდე, შვედეთის აუდიტორული ოფისის გენერალური აუდიტორი და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტში პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილს შეხვდნენ.

შვედეთის აუდიტორული ოფისის დელეგაცია საქართველოს 22 მარტს ეწვია. დელეგაციის დანარჩენი წევრები საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებისთვის გამართავენ რამდენიმე სემინარს თემაზე: "შიდა და გარე კომუნიკაციების მნიშვნელობა."

შვედი სტუმრების ვიზიტი 26 მარტს დასრულდება.